№4

ივნისი, 2020წ.

# ბოლნისი

გამოდის 1935 წლიდან

ფასი: 1 ლარი

## დავით შერაზადიშვილმა და შოთა რეხვიაშვილმა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩთან სამუშაო შეხვედრა გამართეს

გვ:2

## ათ ბოლნისურ ღვინოს „თელიანი ველის“ დახმარებით მსოფლიო გაიცნობს

გვ:5

## საქართველოში არსებული ერთადერთი მკაცრი საკარანტინო ზონა, სოფელი მუშევანი გაიხსნა

გვ:2

# დავით შერაზადიშვილმა და შოთა რეხვიაშვილმა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩთან სამუშაო შეხვედრა გამართეს

ბოლნისის მუნიციპალიტეტს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩი საქართველოში ჰუბერტ ქნირში ეწვია. ელჩმა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერთან დავით შერაზადიშვილთან და ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულთან, შოთა რეხვიაშვილთან ერთად სამუშაო შეხვედრა გამართა.

შეხვედრაზე მხარეებმა ბოლნისში არსებული ძველი გერმანული კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და რეაბილიტაციის საკითხები განიხილეს.

შეხვედრას ასევე დაესწრო DVV International-ის რეგიონალური დირექტორი კავასიასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში მაია ავრამოვსკა და სამხრეთ კავკასიაში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კავშირის თავმჯდომარე ოლივერ რაისნერი, რომლებმაც მერთან ქალაქ ბოლნისში ზრდასრულთა განათლების ცენტრის პერსპექტივებსა და ბოლნისის მუნიციპალიტეტში გერმანიის სახალხო უნივერსიტეტთა ასოციაციის გეგმების შესახებ ისაუბრეს.

შეხვედრის შემდეგ, ელჩი და სხვა ოფიციალური სტუმრები, მუნიციპალტეტის მერთან და სახელმწიფო რწმუნებულთან ერთად ძველ გერმანულ უბანს ესტუმრნენ, იქ არსებულ კულტურულ მემკვიდრეობას გაეცნენ და ყოფილი სომხური სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები მოინახულეს, სადაც გერმანულ-ქართული კულტურის ცენტრის გახსნა იგეგმება.

პროექტი ქართულ-გერმანული დაფინანსებით განხორციელდება. პირველი ეტაპი, რომელიც შენობის გადახურვასა და ფასადის რეაბილიტაციას გულისხმობს, უკვე დასრულებულია, მეორე ეტაპზე კი შიდა ინტერიერის მოწესრიგება იგეგმება. მეორე ეტაპის განსახორციელებლად ადგილობრივ ბიუჯეტში 380 000 ლარია გათვალისწინებული. აღსანიშნავია, რომ სამშენებლო ტენდერი უკვე გამოცხადებულია.

„გერმანიის ელჩთან საქართველოში ჰუბერტ ქნირშთან სამუშაო შეხვედრა გავმართეთ და ბოლნისში არსებული ძველი გერმანული კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და რეაბილიტაციის საკითხებზე ვიმსჯელეთ. ბატონ ქნირშთან ერთად ასევე მოვინახულეთ ძველი გერმანული უბნები და ყოფილი სომხური სკოლა, რომელშიც ქართულ-გერმანული კულტურის ცენტრის გახსნა იგეგმება. მუნიციპალიტეტისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, მსგავსი შეხვედრები კი ამ მხრივ ქმედითი ნაბიჯების გადადგმაში გვეხმარება. მოხარული ვარ, რომ მუნიციპალიტეტს გერმანულ მხარესთან აქტიური და ნაყოფიერი ურთიერთთანამშრომლობის პრაქტიკა აქვს“, - განაცხადა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა.

# საქართველოში არსებული ერთადერთი მკაცრი საკარანტინო ზონა, სოფელი მუშევანი გაიხსნა

ბოლნისის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის რეკომენდაციითა და საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით სოფელი მუშევანი გაიხსნა. 67-დღიანი მკაცრი საკარანტინო მდგომარეობის შემდეგ სოფელს წითელი ზონის სტატუსი მოეხსნა.

სოფლის მაცხოვრებლებს მიმოსვლა ყოველგვარი შეფერხების გარეშე შეეძლებათ. საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა მუშევანის შესასვლელთან პატრულირება დაასრულეს.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიამ სოფელში არაერთი პრევნციული ღონისძიება გაატარა. ყველა ოჯახს 100 და 50-ლარიანი სასურსათო პაკეტები რამდენჯერმე გადასცა. მუშევანში ასევე აქტიურად მიმდინარეობდა საინფორმაციო კამპანია.

სოფლის გახსნამდე ეპიდემიოლოგებმა PCR ტესტის მეშვეობით 66 ბიოლოგიური ნიმუში აიღეს. კორონავირუსი არცერთ მოქალაქეს არ დაუდასტურდა. სოფელში ასევე ჩატარდა თერმოსკრინინგიც.

„ორ თვეზე მეტია მუშევანის მოსახლეობას მკაცრ საკარანტინო პირობებში უწევდა ცხოვრება. საქართველოს მასშტაბით, სამწუხაროდ, ეს სოფელი ეპიდემიოლოგიური თვალსაზრისით, ყველაზე მეტად დაზიანდა. სოფელში სულ კორონავირუსის 80 შემთხვევა დაფიქსირდა. საკარანტინო მდგომარეობის პერიოდის განმავლობაში, მუშევანს ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლებისგან ყურადღება არ მოკლებია. ბოლნისის მერიამ მოსახლეობას 100 და 50-ლარიანი სასურსათო პაკეტები რამდენჯერმე დაურიგა. მერიის თანამშრომლები, მოხალისეებთან ერთად, ყოველდღიურად სწავლობდნენ სოფლის მოსახლეობის საჭიროებებს და მასზე სწრაფ რეაგირებას ახდენენ. სამართალდამცველები კი 24-საათის განმავლობაში სოფლის საზღვრებს იცავდნენ. სოფლის გახსნამდე ჩვენმა ეპიდემიოლოგებმა სამიზნე ჯგუფები კორონავირუსულ ინფექციაზე PCR ტესტების მეთოდით შეამოწმეს, საბედნიეროდ ვირუსი არცერთ მოქალაქეს არ დაუდასტურდა. აღსანიშნავია, რომ მთელ მუნიციპალიტეტში მედიკოსებმა ბიოლოგიური ნიმუშები 3700-ზე მეტ მოქალაქეს აუღეს, მათგან 1200-ზე მეტი სოფელი მუშევანიდანაა. სოფელში არსებული სტაბილური ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე კი დღეიდან მუშევანს წითელი ზონის სტატუსი მოეხსნა. მსურს თოთოეულ მედიკოსს, პოლიციელსა და მოხალისეს მუხლჩაუხრელი შრომისთვის დიდი მადლობა გადავუხადო. მოხარული ვარ, რომ ბოლნისის მუნიციპალიტეტში დღეიდან არცერთი სოფელი აღარაა ჩაკეტილი“,- განაცხადა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა.

# მამხუტისა და ტალავერის თემს სარწყავი წყლის პრობლემა მოუგვარდება

ბოლნისის მაჟორიტარ დეპუტატს გოგი მეშველიანს სოფელ მამხუტის თემის საკრებულოს მაჟორიტარმა რასულ ბახტიაროვმა, მამხუტისა და ტალავერის თემში არსებული სარწყავი წყლის პრობლემის შესახებ შეატყობინა. გოგი მეშველიანი ბოლნისის მერთან დავით შერაზადიშვილთან, საქართველოს მელიორაციის ადგილობრივი სერვისცენტრისა და შპს „ADA" -ს წარმომადგენლებთან ერთად პრობლემას ადგილზე, სოფელ ქაპალაში გამანაწილებელ სარწყავ არხთან გაეცნო. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ ტერიტორიიდან მიეწოდება მამხუტის თემს სარწყავი წყალი.

სოფელ ქაპალაში გამანაწილებელ სარწყავ არხში შპს „ADA"-ს ჰესის დამცავი ჯებირია მოწყობილი, რაც მამხუტისა და ტალავერის თემში სარწყავი წყლის საკმარისი რაოდენობით მიწოდებას აფერხებს. „ADA"-ს წარმომადგენლის გიორგი კაცაშვილის განცხადებით, პრობლემის აღმოსაფხვრელად შესაბამისი ღონისძიებები გატარდება და სარწყავი წყალი მამხუტისა და ტალავერის თემს შეუფერხებლად მიეწოდება.

,,სოფელ მამხუტის თემის საკრებულოს მაჟორიტარმა რასულ ბახტიაროვმა მომმართა პრობლემით. მისი განცხადებით მამხუტისა და ტალავერის თემს არ მიეწოდება საკმარისი რაოდენობის სარწყავი წყალი. საკითხს ადგილზე მუნიციპალიტეტის მერთან, დავით შერაზადიშვილთან და თვითმმართველობის სხვა ხელმძღვანელ პირებთან ერთად გავეცანი. როგორც მელიორაციის ადგილობრივი სერვისცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, იმირასანის სარწყავ არხზე მოწყობილია ჰესის შპს „ADA" -ს დამცავი ცხაური, რომელიც იბიდნება და წარმოშობს აღნიშნულ პრობლემას. ადგილზევე შედგა კომუნიკაცია შპს „ADA" -ს წარმომადგენელ გიორგი კაცაშვილთან, რომელმაც განაცხადა, რომ კომპანიის ხელმძღვანელობასთან ერთად შეისწავლის საკითხს და უმოკლეს ვადებში გატარდება შესაბამისი ღონისძიებები პრობლემის აღმოსაფხვრელად," განაცხადა ბოლნისის მაჟორიტარმა დეპუტატმა გოგი მეშველიანმა.

## ბოლნისის მუნიციპალიტეტის პირველმა პირებმა მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები მოინახულეს

სოფელ ფარიზში გზის მოწყობისა და სარწყავი სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს.

სოფელში, 500 გრძივ მეტრზე, ასფალტო-ბეტონის გზა დაიგება, 400 გრძივ მეტრზე კი სარწყავი არხის რეაბილიტაცია მოხდება. სამუშაოები „რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა“ და ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება. პროექტის სრული ღირებულება 370 000 ლარს შეადგენს.

სოფელ ტალავერში კი წყალმომარაგების ქსელის გაფართოების სამუშაოები ხორციელდება. არსებული რეზერვუარიდან, 2700 გრძივ მეტრზე ახალი მაგისტრალი მოეწყობა. ასევე დამონტაჟდება ქაბურღილი და ორი ახალი რეზერვუარი. პროექტის დასრულების შემდეგ, სოფელში წყალმომარაგება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება.

პროექტის ღირებულება 470 000 ლარს შეადგენს და ის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება.

მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებს ბოლნისის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატი გოგი მეშველიანი, ბოლნისის მერთან დავით შერაზადიშვილთან ერთად ადგილზე გაეცნო.

## ბოლნისის მუნიციპალიტეტმა მდგრადი ენერგეტიკის დღე ონლაინ ვიქტორინით აღნიშნა

ბოლნისის მუნიციპალიტეტი ევროპის მდგრადი ენერგეტიკის კვირეულს დევიზით „გაანათე შენი გონება“ შეუერთდა. რომელიც „მერების შეთანხმება აღმოსავლეთით“ ფარგლებში ჩატარდა და მისი მიზანი სკოლის მოსწავლეებში მდგრადი ენერგეტიკის შესახებ ცნობიერების ამაღლებაა. პანდემიის გამო ქვეყანაში შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტმა სკოლის მოსწავლეებისთვის ვიქტორინა ონლაინ მოაწყო. რომელშიც ბოლნისის მუნიციპალიტეტის IX, X, XI და XII კლასების თერთმეტმა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა. ვიქტორინის დაწყებისას მოსწავლეებს სიტყვით ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა მიმართა და მათ ეკოლოგიისა და მდგრადი ენერგეტიკის მნიშვნელობაზე ესაუბრა.

ვიქტორინა საკმაოდ სახალისო რეჟიმში წარიმართა,გამარჯვებულის გამოსავლენად დამატებითი კითხვების დასმა გახდა საჭირო. საბოლოოდ კი ადგილები ასე გადანაწილდა. პირველი ადგილი: საქართველოს საპატრიარქოს წმინდა იოანე ბოლნელის სახელობის სკოლის მოსწავლე ირინა ჟუჟუნაშვილმა, მე-2 ადგილი ქ. ბოლნისის N3 საჯარო სკოლის მოსწავლემ მარიამ ადამაშვილმა, მე-3 ადგილი კი დაბა კაზრეთის N2 საჯარო სკოლის მოსწავლე მურო ექიზაშვილმა მოიპოვა.

საპრიზო ადგილზე გასულ მოსწავლეებს ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერისგან სპეციალურად შერჩეული საჩუქრები, ხოლო მონაწილეებს კი სერტიფიკატები ონლაინ რეჟიმში გადაეცათ.

## ფერმერთა ხელშეწყობის მიზნით ბოლნისის აგროცენტრი აგრძელებს უფასო აქციას

,,მეღვინეობა-მევენახეობას ოცი წელია ვეწევი, მომყავს 10 ტონამდე რქაწითელის ჯიშის ყურძენი, რეალიზება ძალიან მიჭირს, ყურძნის ფასიც დაბალია, რის გამოც ინტერესიც დავკარგე, თუმცა ამ ცენტრის გახსნით იმედი მომეცა, მოვიტანე ღვინო ბოთლებში ჩამოსასხმელად, საინტერესო ინფორმაციაც მივიღე. ასეთი ხელშეწყობით ვფიქრობ მეტი დაინტერესება იქნება გაყიდვის კუთხით,“ განაცხადა ბოლნისელმა მევენახემ ანზორ რეხვიაშვილმა.

ბოლნისის აგროცენტრის მიერ წამოწყებულ ღვინის უფასოდ ჩამოსხმის აქციაში ანზორ რეხვიაშვილის მსგავსად კიდევ არაერთი ბოლნისელი მეღვინე ჩაერთო. ადგილობრივი მეღვინეობის პოპულარიზაციისა და ახალი თანამედროვე ტრადიციების დამკვიდრების მიზნით, ცენტრი დამწყებ მეღვინეებს თითო სახის ღვინის 10 ლიტრამდე ჩამოსხმას, დასაცობებასა და ეტიკეტირებას უფასოდ სთავაზობს, უკეთ გაცნობის მიზნით კი მათი ღვინოები წარმოდგენილი იქნება დეგუსტაციებსა და ფესტივალებზე.

„ბიზნეს საქმიანობის ეფექტური პლატფორმის ჩამოყალიბების“ პროექტის ფარგლებში ფერმერთა ხელშეწყობის ცენტრი ბოლნისში რამდენიმე თვეა გაიხსნა, სადაც შესაფუთი მობილური ტექნიკაა განთავსებული, რომლითაც სარგებლობა ყველა ადგილობრივ მეწარმეს სიმბოლურ ფასად შეუძლია. ცენტრი ფერმერებს ეხმარება აგროსექტორში წარმოებული პროდუქცია გახადონ მარკეტინგული თვალსაზრისით მეტად გაყიდვადი, თანამშრომლები ზრუნავენ და იძიებენ ბაზრებს იმისთვის, რომ ბოლნისში წარმოებული პროდუქციის რეალიზებისთვის, რაც შეიძლება მეტი კომპანია დაინტერესდეს.

„ბოლნისის აგროცენტრი მოეწყო და ფუნქციონირებს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, რომლის მიზანია ადგილობრივი მეწარმეების მაქსიმალური ხელშეწყობა, მარკეტინგული დახმარება, იურიდიული და ფინანსური კონსულტაციების გაწევა. ცენტრი როგორც ხილ-ბოსტნეულის და რძის პროდუქტის შეფუთვას, ასევე ღვინის ჩამოსხმას, ეტიკეტირებას და მობილური ჯგუფის ადგილზე მომსახურებას სთავაზობს მომხმარებელს. მუდმივად ეწყობა საინფორმაციო შეხვედრები, სადაც ფერმერებს ამ სფეროში მიმდინარე სიახლეებს აცნობენ“, - აღნიშნა ბოლნისის მუნიციპალიტეტის პროექტების მართვის განყოფილების უფროსმა მერი აბრამიშვილმა.

აგროცენტრში მუდმივად მიმდინარეობს საინფორმაციო შეხვედრები, აქ სახელმწიფოს თუ კერძო სექტორის მიერ დაგეგმილ სიახლეებს ფერმერებს აცნობენ, გარდა ამისა ცენტრი უფასო იურიდიულ მომსახურებას, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბების შესახებ ინფორმაციას, პროექტის მომზადების და სხვა საჭირო სიახლეებს გასცემს მეწარმეებისთვის.

„აგროცენტრმა ფერმერთა ხელშეწყობის მიზნით წამოიწყო მეღვინეებისთვის ღვინის ჩამოსხმის უფასო აქცია, რათა მოხდეს დამწყები მეღვინისა და ღვინის ფართო საზოგადოებისთვის გაცნობა, ასევე ვმუშაობთ სხვადასხვა პროექტებზე, კერძოდ მეღვინეებს რომლებიც 5000 კვ.მეტრამე ვენახს ფლობენ დავეხმარებოთ ღვინის ჭურჭლის შეცვლაში, რათა ჩვენმა მეღვინეებმა შეძლონ უფრო მეტი ხარისხიანი ღვინის წარმოება. რეალიზების კუთხით კი ვმუშაობთ ბაზრების მოძიების საკითხზეც. ვმართავთ ფერმერებთან შეხვედრებს, ვაწვდით ინფორმაციას სხვადასხვა მიმართულებით“, განაცხადა ბოლნისის აგროცენტრის ხელმძღვანელმა ნიკა მინდიაშვილმა.

ფერმერთა ხელშეწყობის ცენტრი ევროკავშირის საგრანტო კონკურსში „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ პროგრამის ფარგლებში გაიხსნა და სხვადასხვა მიმართულებით დაიწყო მუშაობა.

ბოლნისის აგრო ცენტრი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაინტერესებულ პირებს შემდეგ მომსახურებებს სთავაზობს:

1. ერთი ერთეული პროდუქციის (ყველი, ხორცი, თევზი , ბოსტნეული ) ვაკუმურ შეფუთვას . სერვისის ღირებულება - 0,39 ლარი .
2. ერთი კილოგრამი ბოსტნეულის დახარისხება , შეფუთვა , ეტიკეტირებას . სერვისის ღირებულება- 0,10 ლარი.
3. ერთი ლიტრი ღვინო მასალების გაფილტვრა , ჩამოსხმა,დასაცობება და ეტიკეტირება . სერვისის ღირებულება - 0,26 ლარი.
4. ერთი ლიტრი ღვინო მასალების გაფილტვრა ( მხოლოდ) - 0,10 ლარი.
5. ერთ ტონამდე ქვევრის გაწმენდა და ღვინის გადაღების მომსახურეობა . სერვისის ღირებულება - 40 ლარი.
6. ერთ ტონამდე ღვინის გადაღება ქვევრიდან. სერვისის ღირებულება - 10ლარი.
7. ერთ ტონამდე ქვევრის გაწმენდა . სერვისის ღირებულება - 35 ლარი

მის: ქ.ბოლნისი , აღმაშენებლის ქუჩა N13-ა .

# პანდემიის ფონზე წამოწყებული უპრეცენდენტო გამოწვევა ბოლნისელი პატარებისთვის



მსოფლიო პანდემიამ კაცობრიობა სულ სხვა რეალობის წინაშე დააყენა. საზოგადოების დიდი ნაწილი ახალი გამოწვევების, ინოვაციური პროექტების და კრეატიული იდეების ძიების პირისპირ აღმოჩნდა. კარჩაკეტილი ცხოვრების პერიოდში, ინტერნეტსივრცე არაერთმა საგანმანათლებლო-შემეცნებითმა, კულტურულმა სპორტულმა პროექტმა მოიცვა. იყო გამამხნევებელი მოწოდებები, გამოწვევები, ლექციები და ტრენინგები სხვადასხვა თემებზე, თუმცა, საოჯახო თოჯინების თეატრის პრეცედენტი, მხოლოდ ბოლნისის მუნიციპალიტეტიდან განთავსდა.

ინოვაციურმა გამოწვევამ სხვა რეგიონებიც მოიცვა. სცენარი კი მკაცრი საკარანტინო რეჟიმის პერიოდში დაიწერა. როგორც იდეისა და პროექტის ავტორმა, თამრიკო ბობოხიძემ აღნიშნა, „რთულია მოდუნება და უქმად ყოფნა, როდესაც ცხოვრების რეჟიმი აქტიური და დატვირთული გაქვს“. სწორედ ამ კარჩაკეტილობის პერიოდში, ბოლნისის კულტურის სახლის თოჯინების თეატრის ხელმძღვანელმა, თამრიკო ბობოხიძემ გადაწყვიტა ბავშვებისთვის საოჯახო თოჯინების თეატრი შეეთავაზებინა კონკურსის სახით. იდეის ავტორი, თითოეულ მონაწილეს აძლევდა მითითებებს, ასწავლიდა თოჯინისა და კოსტუმების შეკერვას, ეხმარებოდა დეკორაციის შექმნისას და აძლევდა გარკვეულ ინსტრუქციას. კონკურსი ორ ასაკობრივ კატეგორიაზე, სკოლამდელი აღსაზრდელებისა და სკოლის მოსწავლეებისთვის იყო გათვლილი. საოჯახო თოჯინების თეატრის კონკურსი 1 მაისიდან, ბოლნისის კულტურის ცენტრის ხელმძღვანელის, სოსო კოპალეიშვილის მხარდაჭერითა და თანადგომით გამოცხადდა. საკონკურსო პირობები კულტურის ცენტრის ვებგვერდზე განთავსდა, გაიცა გარკვეული ინსტრუქციები და განთავსდა ვიდეო გაკვეთილები, თუ როგორ შეეძლოთ მონაწილეებს თოჯინების შექმნა, სცენარის დაწერა და დეკორაციის მოწყობა. აღნიშნულ ვებ გვერდზე მალევე და-ძმა საყვარელიძეების პირველი ვიდეო სპექტაკლი, იგავ-არაკი „ორი ძმა“ აიტვირთა, რასაც არა ერთი ვიდეო მოჰყვა, აღსანიშნავია, რომ სპექტაკლებს სხვადასხვა რეგიონებიდანაც შეუერთდნენ და როგორც თოჯინების თეატრის ხელმძღვანელმა აღნიშნა გამოხმაურებამ, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

ბოლნისის კულტურის ცენტრიისა და ბოლნისის კულტურის სახლის მიერ გამოცხადებული ონლაინ კონკურსი სახელწოდებით - „საოჯახო თოჯინების თეატრალური წარმოდგენა“ 1 მაისიდან 15 ივნისის ჩათვლით მიმდინარეობდა და მასში 37 მონაწილე ჩაერთო.

გამოვლინდნენ სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებულები, რომლებიც შესაბამისი სიგელებით დაჯილდოვდნენ.

თამრიკო ბობოხიძე, ბოლნისის კულტურის სახლის თოჯინების თეატრის ხელმძღვანელი:

-დიდი ხნის წინ მეუფემ მთხოვა, რომ რელიგიურ თემებზე დამედგა სპექტაკლი, მაგრამ ეს ჩემთვის საფრთხილო და ფაქიზი თემა აღმოჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ მისი ლოცვა-კურთხევა მქონდა, მაინც ვერიდებოდი სასულიერო თემაზე ნაწარმოებების დადგმას. სწორედ კარჩაკეტილობის პერიოდში გადავწყვიტე სამაგიდო თოჯინების თეატრისთვის რელიგიური პერსონაჟები შემექმნა, აღნიშნული თოჯინებისთვის, ძირითად აქსესუარს ფეხსაცმელი წარმოადგენს, რომლის გაკეთებაც საკმაოდ რთული და შრომატევადია. დავიწყე მინიატურული ფეხსაცმელების გაკეთება და ზუსტად, ამ პროცესში გაჩნდა იდეა, რომ ჩამეწერა ვიდეო გაკვეთილები ბავშვებისთვის და მათთვის მესწავლებინა თოჯინების კეთება. ამდენი უარყოფითი ინფორმაციის ფონზე, რაც ბოლო პერიოდში ვრცელდებოდა, მივხვდი, რომ ეს იქნებოდა ბავშვებისთვის შემეცნებითი, სახალისო და საინტერესო. მინდა აღვნიშნო, რომ დიდი მხარდაჭერა მქონდა ბატონ სოსო კოპალეიშვილისგან და კულტურის სახლის ხელმძღვანელისგან. გამოცხადდა საკონკურსო პირობები, შეირჩა ჟიური და პატარა კონკურსანტებისთვის ჩავწერე პირველი ვიდეო გაკვეთილი. მართალია ძალიან გამიჭირდა ჩაწერა, მაგრამ ეს ამად ღირდა. სიმართლე გითხრათ, არ ველოდი ასეთ შედეგს. ვიდეო სპექტაკლებს სხვა რეგიონებიდანაც გვიგზავნიდნენ, ბავშვებს შეეძლოთ აერჩიათ თავისუფალი თემა, ან სულხან-საბა ორბელიანის ნებისმიერი იგავ-არაკი. შეზღუდულები ნამდვილად არ იყვნენ, ზოგიერთმა კონკურსანტებმა თავიანთი ინტერპრეტაციითაც წარმოადგინეს ნაწარმოებები. რაც მთავარია იყო მშობლების დიდი აქტივობა, სწორედ ასეთმა მიდგომამ და დამოკიდებულებამ მაჩვენა, რომ პროექტი უნდა გაგრძელდეს ფესტივალის სახით, სადაც პატარები, მშობლებთან ერთად, ვირტუალური სივრციდან რეალურ სივრცეში ითამაშებენ.



სოსო კოპალეიშვილი, ბოლნისის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის ხელმძღვანელი:

-როდესაც დამიკავშირდა თამარი და გამაცნო იდეა კონკურსის შესახებ, რომელიც პანდემიის პერიოდში იქმნებოდა, ერთის მხრივ წამახალისებელი და შემეცნებითი, მეორეს მხრივ განმავითარებელი, რა თქმა უნდა მომეწონა. ვისაუბრეთ განხორციელების გზებზე, ცოტა გლობალურად განვიხილეთ ეს ყველაფერი, მაგრამ პრაქტიკულად, ასპექტში ჩამოყალიბდა და დიდი ხნის ფიქრის შემდეგ, პირველი მაისიდან გამოვაცხადეთ საოჯახო თოჯინების თეატრის კონკურსი. მიღებულ ვიდეოებს ვამუშავებდით, განვიხილავდით და ვტვირთავდით კულტურის ცენტრის ვებგვერდზე. მშობლებისა და ბავშვების ერთობლივი ჩართულობა იმდენად დიდი იყო, შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა. ვისურვებდი, რომ ასეთი პროექტები ყოფილიყო ძალიან ბევრი, მოვუწოდებ სხვა ორგანიზაციებს, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ბავშვებთან, გავმართოთ ისეთი აქტივობა, რომ ბავშვებს სახლში ყოფნა რაღაცნაირად შევუმსუბუქოთ, მივცეთ საშუალება ფანტაზიისა და უნარის განვითარებისა. რაც შეეხება თამარს, არის კრეატიული, მას აქვს ისეთი იდეები, რომელიც ბევრის მიმცემია ბავშვებისთვის.

ანა ხომასურიძე, და-ძმა საყვარელიძეების მშობელი:

-ეს იყო დროული და სწორი გადაწყვეტილება. პირველ რიგში დიდი მადლობა კონკურსის ორგანიზატორს, რომ მისცა ბავშვებს საშუალება განევითარებინათ თავიანთი უნარები, ჩვენს შემთხვევაში, უფროსმა გოგომ დაიწყო თოჯინების კერვა, წინდებითა და სხვადასხვა სახის ქსოვილით, რომლის კეთებაშიც პატარაც დაეხმარა. თოჯინები ჩემს დაუხმარებლად გააკეთეს, უბრალოდ მივეცი მითითება, თუ როგორ მოეწყოთ დეკორაცია. დანარჩენ ყველა დეტალზე, თოჯინიდან დაწყებული, ასოებით დამთავრებული, თვითონ იმუშავეს. მათ წარმოადგინეს საბას „ორი ძმა“. მინდა აღვნიშნო, რომ მსგავს პროექტებში მთავარი გამარჯვება არ არის, აქ მთავარია პროცესში ჩართულობა, განვითარება და უსაზღვრო ფანტაზია. ჩემი ჩართულობა პროექტში ოპერატორის სახით წარმოვაჩინე. მართალია, სრულყოფილ ვიდეომდე ბევრი დუბლი დაგვჭირდა, იყო შრომატევადი პროცესი, მაგრამ სასიამოვნო, თითქმის 4 საათი ვიღებდით. ბავშვები ყოველი ყურების და მოსმენის შემდეგ, დაშვებულ ხარვეზებს ასწორებდნენ. ვფიქრობ გამოგვივიდა.

ელენე საყვარელიძე, პროექტის მონაწილე:

- ეს სფერო ძალიან შრომატევადი ყოფილა, ახლა ვაფასებ მათ შრომას, მაყურებლის როლში ყველაფერი მარტივად ჩანს, მაგრამ რომ გაერკვევი და ჩაწვდები სპეციფიკას, ძალიან რთულია.

ქრისტინე თათრიშვილი, 13 წლის:

-პანდემიის პერიოდში, როდესაც სრულიად შეცვლილ რეალობაში აღმოვჩნდით, ეს პროექტი იყო დროული. კონკურსის გამოცხადებისთანავე გადავწყვიტეთ მიგვეღო მონაწილეობა, 4 და-ძმა აქტიურად ჩავერთეთ, რა თქმა უნდა თამრიკო მასწავლებლის მითითებით, დავდგით სპექტაკლი „ძალა ერთობაშია“. პროცესი ძალიან საინტერესო და სახალისო აღმოჩნდა. ვთვლი, რომ მსგავსი ღონისძიებები ხელს შეუწყობს ბავშვებს შემოქმედებით განვითარებაში. ჩემთან ერთად მონაწილეობდნენ ჩემი და-ძმა, ბელა 11 წლის, დავითი 12 წლის, ნიკოლოზი 9 წლის.

მილანა ქითანავა, 9 წლის:

-ნაზი დეიდამ გვითხრა, რომ გამოცხადდა კონკურსი, გადავწყვიტეთ თოჯინები დაგვეხატა და ჩრდილების საოჯახო სპექტაკლი ჩაგვეტარებინა. სპექტაკლზე ხუთი დღე ვიმუშავეთ. გავაცოცხლეთ სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკი „სოფლის მაშენებლები“. ნაზი დეიდა დაგვეხმარა. ამ კონკურსმა შეგვმატა მეტი გამბედაობა, თავისუფლება. თავიდან სხვა სპექტაკლი გვქონდა მოფიქრებული, მაგრამ მერე ეს გადავწყვიტეთ. ნაზი დეიდამ ანიმაციური ფილმი გვაყურებინა. მოგვეწონა მუსიკა, სიმღერა,



მელა, მამალი, ძაღლი. ვიხალისეთ კარგად. ჩვენ ვაპირებთ, როდესაც ნაზი დეიდას შვილიშვილები ჩამოვლენ, ერთად დავდგათ „წითელქუდა“. გვინდა თვითონ გავაცოცხლოთ ზღაპრის გმირები და არა თოჯინებით. ჩემთან ერთად სპექტაკლზე მუშაობდნენ ჩემი ძმა აკაკი (ტიგრან) ქითანავა 10 წლის და გიორგი ზიბირმა 10 წლის.

პ.ს. კონკურსის მეშვეობით, ბავშვებმა სურვილების და შესაძლებლობების რეალიზება მოახერხეს. ხელებით ნაამბობმა ისტორიებმა, პროექტს საშუალება მისცა, სამომავლოდ ფესტივალის სახით გაგრძელდეს, სადაც პატარები მშობლებთან ერთად, ონლაინგაკვეთილებიდან მიღებულ ცოდნას და გამოცდილებას, ერთმანეთს გაუზიარებენ.

**მარინა გავაშელი**

## მოქალაქე ნარგიზა მაისურაძე მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას მადლობას უხდის გაწეული დახმარებისთვის

„ყველა ადამიანი ცხოვრებაში ერთხელ მაინც შეიძლება აღმოჩნდეს განსაცდელის წინაშე, მაგრამ ყველაზე რთულია როცა ეს განსაცდელი შვილის ჯანმრთელობას ეხება და შენ კი მის წინაშე უძლური ხარ ფინანსურად. სწორედ ასეთ მდგომარეობაში აღმოვჩნდი ცოტა ხნის წინ და თხოვნით მივმართე ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიას. მათი დახმარებით დღეს ჩემი შვილის მდგომარეობა გაუმჯობესდა, რისთვისაც უღრმეს მადლობას ვუხდი ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერს დავით შერაზადიშვილს, მის მოადგილეს ბუბა გობეჯიშვილს, მაჟორიტარ დეპუტატს გოგი მეშველიანს, ბიუროს თანამშრომელს ნინო მანაგაძეს, ასევე სოციალური სამსახურის თანამშრომლებს: ლელა კვირიკაშვილს, ნონა მოდებაძეს, შავლეგ მუშკუდიანს და თითოეულ იმ ადამიანს, რომელმაც გულთან მიიტანა ჩემი გასაჭირი და წვლილი შეიტანა ჩემი შვილის გამოჯანმრთელებაში“- ბოლნისის მუნიციპალიტეტის მოქალაქე ნარგიზა მაისურაძე.

# ათ ბოლნისურ ღვინოს „თელიანი ველის“ დახმარებით მსოფლიო გაიცნობს

ძველი ქართული ტექნოლოგიით დამზადებული ქვევრის ბოლნისურ ღვინოებს უდიდესი და უძველესი ისტორია აქვს, რომელიც არაერთხელ მოექცა მსოფლიო ყურადღების ცენტრში. დღეს ბოლნისში 30-მდე საოჯახო მარანია. ძირითადად გვხვდება ძველი აღდგენილი ჯიშებისგან დამზადებული ღვინოები, როგორიცაა: საფერავი, რქაწითელი, თავკვერი, გორული მწვანე და სხვა. ქვევრის ღვინო უძველესი ქართული კულტურის შემადგენელი ნაწილია და დიდი წარსული აქვს, თუმცა ბოლო ათწლეულებია, ბოლნისური ვაზის სიკეთეზე აღარავინ საუბრობდა, სოფლის მეურნეობის ერთ დროს წარმატებული დარგი, თითქოს მივიწყებას მიეცა. დაიკარგა აქცენტი ხარისხზე, ბოლნისი ამ კუთხით ჩრდილში აღმოჩნდა და ბევრმა ადგილობრივმა ვაზის მოვლა შეწყვიტა, თუმცა რამდენიმე წელია, განსაკუთრებული გემოვნური თვისებების ბოლნისური ღვინო, წარმატებული და მაღალი დონის ქართული ღვინის მარათონს უბრუნდება და მასზე მოთხოვნა იზრდება. ძველ ტრადიციებზე დაყრდნობით, ბოლნისში მზადდება და ისხმევა ორიგინალური, არომატული თვისებების მქონე, მაღალხარისხიანი ღვინოები. ამჯერად, ბოლნური ღვინოებით, უმსხვილესი კომპანია „თელიანი ველი“ დაინტერესდა და იშვიათი, რჩეული ღვინოები ერთი ბრენდის - „ღვინის ხალხის“ ქვეშ გააერთიანა. პირველ კოლექციაში, ბოლნისში, მცირე მარნებში ჩამოსხმული სხვადასხვა სახეობის ღვინოებს მოუყარეს თავი. თითოეულს გამორჩეული ისტორია აქვს, რომელიც ბოთლის ეტიკეტზეა დატანილი. პროექტის მიზანია, ბოლნური ღვინოები, საქართველომ და მსოფლიომ გაიცნოს. რა ღვინოები შედის ახალ კოლექციაში, რა არის პროექტის მიზანი და როგორ შეარჩია კომპანიამ ბოლნური ღვინოები? - ამის შესახებ გაზეთ ,,ბოლნისს'' კომპანიის პროექტების მენეჯერი თიკო ჩიქვანია ესაუბრა.

-„ღვინის ხალხის“ პირველი კოლექციისთვის ბოლნური ღვინოები შევარჩიეთ, თითოეული ბოთლი გვაცნობს მეღვინეს და გვიყვება მის უნიკალურ ისტორიას. კოლექცია ლიმიტირებული რაოდენობით გამოვიდა და განკუთვნილია ღვინის მოყვარულებისთვის. ბოლნისელი მეღვინეები ნამდვილად გამორჩეულ და საინტერესო ღვინოებს აწარმოებენ, რომლის შესახებაც, ნაკლებად იციან საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ. „თელიანი ველი“ კომპანიის ყველა რესურსს გამოიყენებს, რომ ეს ღვინო და მეღვინეები, რაც შეიძლება მეტ ადამიანს გააცნოს.

-როგორ შეირჩა ბოლნური ღვინოები და კონკრეტულად რომელი სახეობა შედის პირველ კოლექციაში?

- „თელიანი ველის“ გუნდმა ბოლნისში, დაათვალიერა ადგილობრივი ვენახები და გაეცნო თითოეულის ისტორიას. შევარჩიეთ ღვინოები, რომლებმაც ხარისხის კონტროლი გაიარა. კოლექციაში შევიდა 7 მეღვინის ათი სხვადასხვა ჯიშის ღვინო.

-რა არის პროექტის მიზანი?

- საქართველოში ძალიან ბევრი საინტერესო მეღვინეა. ისინი მცირე მარნებში, იშვიათი ჯიშის, გამორჩეულ პროდუქციას აწარმოებენ. იზრდება ინტერესი ქართული ღვინის მიმართ, ამიტომ გვინდა მსოფლიომ გაიცნოს მეღვინეები და მათი გამორჩეული, იშვიათი ჯიშის ღვინოები. რაც შეეხება ექსპორტს, ერთიანი ძალებით შევძლებთ, მსოფლიოს ქართული ღვინოები წარვუდგინოთ. „თელიანი ველი“ ძალიან ბევრ ქვეყანაშია წარმოდგენილი და გვაქვს საშუალება, ჩვენს პარტნიორებს და ღვინის მოყვარულებს „ღვინის ხალხი“ გავაცნოთ, მივცეთ საშუალება დააგემოვნონ და შეაფასონ იშვიათი და მართლაც გამორჩეული, მცირე მარნების ღვინოები. მნიშვნელოვანი იქნება თავად მეღვინეების წარდგენა. გვინდა ყველა ამ სექტორში მოღვაწე კომპანიების წარმომადგენლებმა, ღვინის მოყვარულებმა, თუ ენთუზიასტებმა, გაიცნონ ჩვენი მეღვინეები და მათ მარნებში დამზადებული ღვინოები, სამომავლოდ კი ითანამშრომლონ მათთან. „ღვინის ხალხი“ წელიწადში რამდენიმე კოლექციას წარმოადგენს, რომლისთვისაც ღვინოებს სხვადასხვა ნიშნით შეარჩევს. მაგალითად, როგორიცაა ადგილწარმოშობის დასახელება, ქალი მეღვინეები, სხვადასხვა კუთხის მარნები და ვაზის ძველი ქართული ჯიშებისგან დაყენებული ღვინოები. კომპანიის ინიციატივით, მეღვინეებისა და მცირე მარნების მფლობელებისთვის, მოეწყობა უცხოელ სპეციალისტებთან შეხვედრები, ცოდნის გაზიარება და ამაღლება. ბოლნისელ მეღვინეებს პროექტი საშუალებას აძლევს, საკუთარი პროდუქცია, თუკი გემოვნურ თვისებებთან ერთად, ხარისხსაც დააკმაყოფილებს, შემდეგ კატალოგშიც მოხვდეს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბოლნისელი მეღვინეების ინიციატივით და სახელმწიფოს მხარდაჭერით, ბოლნისი ადგილწარმოშობის დასახელებად დარეგისტრირდა. შვიდი მეღვინის, ათ ბოლნისურ ღვინოს, მსოფლიო „თელიანი ველის“ დახმარებით გაიცნობს. ჩამონათვალი კი ასეთია:

ალიოშა კაპანაძე, „რქაწითელი“, 2017 და 2018 წლის მოსავალი, - ღვინის დამზადება ოჯახის ტრადიციაა, რომელსაც პროფესიით ინჟინერი, შვილებთან ერთად აგრძელებს.

ნიკა ჩოჩიშვილის, „ჩინებული“ - პროფესიით სამხედრო ლოჯისტი, ღვინის დაყენება მეგობართან, გიორგი ჩერქეზიშვილთან ერთად დაიწყო და საკუთარი ვენახებიც გააშენეს.

ლევან ბანძელაძე, „რქაწითელი“ და ასურეთული ,,შალა“ – 37 წლის აუდიტი, ღვინის დამზადება 18 წლის ასაკში დაიწყო და დროთა განმავლობაში გატაცება პროფესიად აქცია.

ავთანდილ უგრეხელიძე, „რქაწითელი“ – 35 წლის ექიმი, მეღვინეების ოჯახიდანაა, 2015 წლიდან დაიწყო ქვევრის ღვინის დაყენება და იშვიათი ჯიშის ყურძნის ვენახების გაშენება.

გოჩა ლიპარტელიანი, „ასურეთული შავი“ - პროფესიით ეკონომისტი, ღვინოს საკუთარ ვენახში მოწეული ყურძნისგან ამზადებს, რომელიც ბოლნისის სოფელ კიანეთში აქვს გაშენებული.

ვახტანგ ჩაგელიშვილი, „თავკვერი“ – 38 წლის ინჟინერ-ეკოლოგისტი ოჯახის ტრადიციას აგრძელებს და ტრადიციული მეთოდით ღვინოს ქვევრში ამზადებს.

გია დევნოზაშვილი, „საფერავი“ - პროფესიით იურისტი, ღვინოს საკუთარ 14 ქვევრიან მარანში აყენებს და ოჯახთან ერთად ზრუნავს მეღვინეობის ზრდასა და განვითარებაზე.

მამა მაკარიძე, „საფერავი“ - სამონასტრო მსახურებასთან ერთად 30 წლის მამა მაკარი, ღვინოს ტრადიციული მეთოდით, ქვევრში ამზადებს და ქართული იშვიათი ყურძნის ჯიშები მოჰყავს.

მალე ბოლნურ ღვინოებს, როგორც საქართველო, ისე მსოფლიო გაიცნობს.

გია დევნოზაშვილი, მეღვინე:

-მცირე მარნებისთვის ძნელია საერთაშორისო ბაზარზე გასვლა, აღნიშნული დაკავშირებულია დიდ დროსთან და ფინანსებთან. „თელიანი ველის“ პროექტი, გარდა ფინანსური სარგებლისა, გვეხმარება ჩვენი ბრენდის „დევნოს“ ცნობადობის გაზრდაში როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთ. აღნიშნული თანამშრომლობა ძალიან სასარგებლოა და, ალბათ, სხვა დიდი კომპანიებიც მიბაძავენ.

ლევან ბანძელაძე, მეღვინე:

-ჩვენნაირი პატარა მარნებისთვის დიდ კომპანიასთან თანამშრომლობა მისასალმებელია, პირველ რიგში ფინანსურად ხარ უზრუნველყოფილი, რადგან იცი, რომ შენი ღვინო გაიყიდება და არ ფიქრობ ბაზრის მოძიებას, როცა ასეთი პარტნიორი გყავს მეტად მოტივირებული ხარ, თამამად გეგმავ მომავალ წელს და ღვინის წარმოებას ზრდი შესაბამისად, რაც შეეხება ჩემს მარანს, მაქვს წინაპრების დანატოვარი გერმანული სარდაფი, წარმოებაში 2014 წლიდან ჩავერთე, ღვინის ბოთლებში ჩამოსხმა კი სამი წლის წინ დავიწყე, „ MARBANO“ ამ სახელით იწარმოება - ჩემი შვილის სახელი და გვარი, მარიამ ბანძელაძე. 2017 წელს მონაწილეობა მივიღე ფესტივალ „ექსპოჯორჯიაში“, ყურძნის მარცვალმა დიდი მოწონება დაიმსახურა. მოპოვებული მაქვს ოქროს და ვერცხლის მედლები. საქართველოს ბაზარზე იყიდება ღვინო, გავიდა ექსპორტზეც ამერიკასა და ბრიტანეთში.

**მაგდა დევნოზაშვილი**

# სალომე გოჩოლეიშვილი საუკეთესო მასწავლებელთა შორის დასახელდა

გაიცანით პედაგოგი ბოლნისის მუნიციპალიტეტიდან, რომელიც ,,მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს“ 2020 წლის კონკურსის ფარგლებში საუკეთესო მასწავლებელთა შორის დასახელდა.

„მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს“ 2020 წლის კონკურსის ფარგლებში, საუკეთესო მასწავლებელთა შორის დასახელდა ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფ. ქვემო არქევანის საჯარო სკოლის ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებელი, სალომე გოჩოლეიშვილი. სალომე არის „არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის კონსულტანტ-მასწავლებელი. იგი ასევე სკოლის ბაზაზე, პროფესიული განვითარების სქემის ფასილიტატორია და ფლობს წამყვანი მასწავლებლის სტატუსს. მისი ინიციატივით, ქვემო არქევანის საჯარო სკოლაში, ბევრი სიახლე დაინერგა. მან განახორციელა ისეთი პროექტები და ღონისძიებები, რომლებიც ორიენტირებული იყო თემში სახელმწიფო ენის პოპულარიზაციასა და არაფორმალური განათლების ხელშეწყობაზე.

„მასწავლებლის ეროვნული ჯილდო“ არის კონკურსი, რომელიც მიზნად ისახავს საუკეთესო მასწავლებლების გამოვლენას და საზოგადოებისთვის მათ წარდგენას. აღნიშნულ კონკურსს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციისა და მხარდაჭერის საქმეში. „მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს“ კონკურსი 2017 წლიდან ტარდება. საკონკურსო განაცხადების განხილვა შედგება ოთხი ეტაპისგან: 1. ტექნიკური გადარჩევა; 2. ჟიურის მიერ საკონკურსო აპლიკაციების შეფასება; 3. აპლიკანტებისგან დამატებით ინფორმაციის/მასალების გამოთხოვა და ჟიურის დისკუსია; 4. აპლიკანტებთან გასაუბრება და ადგილზე ინფორმაციის შეგროვება. საბოლოოდ, ჟიურის მიერ დასახელდება ხუთი ფინალისტი და მათგან 5 ოქტომბერს, მასწავლებლის მსოფლიო დღეს, გამოვლინდება წლის საუკეთესო მასწავლებელი.

სალომე გოჩოლეიშვილი, სოფ. ქვემო არქევანის საჯარო სკოლის ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებელი:

-ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო არქევანის საჯარო სკოლაში მეცხრე წელია ვმუშაობ და ამ პერიოდის მანძილზე არასოდეს მინანია ჩემი არჩევანი. „არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში ქართული ენის მასწავლებლად მუშაობის დაწყება, განაპირობა სურვილმა, ჩემი წვლილი შემეტანა ქვეყნის სახელმწიფოებრივი სტაბილურობის განმტკიცების საქმეში. მუშაობის დაწყებიდან მალევე აღმოვაჩინე, რომ ამ საქმეს სიყვარულითა და ხალისით ვაკეთებ. დღემდე მომყვება ერთგვარი პროფესიული აზარტი, გაკვეთილი გავხადო მაქსიმალურად საინტერესო მოსწავლეებისთვის. მუდმივად ძიების პროცესში ვარ. გაკვეთილის დაგეგმვისას, ყოველთვის ვითვალისწინებ მოსწავლეთა ინტერესებს, საჭიროებებს, უნარებსა და მიდრეკილებებს. ყოველდღიურად ვცდილობ მათზე მორგებული, საუკეთესო გაკვეთილი შევთავაზო. ვფიქრობ, ერთ-ერთი კრიტერიუმი, რომელიც გამომარჩევს, არის ღირებულებაზე დაფუძნებული სწავლება და მოსწავლეებში გამჭოლი კომპეტენციების განვითარებაზე ორიენტირება, საკლუბო საქმიანობის წარმართვით და პროექტების განხორციელებით, ვეხმარები მოსწავლეებს განავითარონ ცხოვრებისთვის საჭიროუნარებიდაღირებულებები. „მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს“ კონკურსის ფარგლებში, საუკეთესო მასწავლებელთა ათეულში მოხვედრა და ბრწყინვალე პედაგოგების გვერდით ყოფნა, ჩემთვის ორმაგად საამაყო და სასიხარულოა. როდესაც პირდაპირ ეთერში გამარჯვებულთა შორის ჩემი სახელი გაისმა, უდიდეს სიხარულთან ერთად, ძლიერი მოტივაციის მოზღვავება ვიგრძენი და დავიწყე ფიქრი სამომავლო პროექტებზე. პირველ რიგში, ეს კონკურსი ჩემთვის ნიშნავს მასწავლებლის პროფესიის დაფასებას და საზოგადოებრივ ფართო აღიარებას. ეს წარმატება მნიშვნელოვნად შეცვლის ჩემს ცხოვრებას: დამეხმარება პროფესიული კავშირების გაფართოებაში და ცნობადობის ზრდაში, რაც საშუალებას მომცემს ძალები მოვსინჯო ახალ წამოწყებებში, მეტად გამოვხატო საკუთარი თავი, რეალიზება გავუკეთო დაგროვილ ცოდნასა და გამოცდილებას.

**მაგდა დევნოზაშვილი**

# რა უნდა იცოდეს სასწრაფოს ექიმმა პაციენტთან მისვლამდე. „,მარტივ კითხვებს“ მარიამ ჩაკვეტაძე პასუხობს

„მარტივი კითხვების“ სტუმარი სურსათის ეროვნული სააგენტოს ბოლნისის ოფისის ოპერატორი, მარიამ ჩაკვეტაძეა, რომელმაც საკმაოდ კარგად გაართვა თავი რუბრიკას და რაც მთავარია, მხიარული განწყობით გვპასუხობდა.

-დავიწყეთ. მარიამ, რა უნდა იცოდეს სასწრაფოს ექიმმა, ვიდრე პაციენტთან მივა?

-(იცინის) აშკარად წნევის გასინჯვა.

- ეგ ყველამ იცის.

-მისამართი მაშინ.

-კი ასეა. დაღლილი ადამიანი დაწვა დასაძინებლად, საღამოს 7 საათზე, მაღვიძარა კი დააყენა 9 საათზე, რამდენი საათი ეძინა?

-ესე იგი საღამოს დაწვა დასაძინებლად, ლოგიკურად, ისევ უნდა გაიღვიძოს, რომ 9 საათზე დააყენოს მაღვიძარა, ამიტომ დილით ვერ იზამდა ამას და საღამოს 9-ზე დააყენებდა. 2 საათი ეძინა.

-ყოჩაღ, რა კარგად მსჯელობ, ნამდვილად ასეა, 2 საათი ეძინა.

-საქართველოში დიდი ზეიმით აღნიშნავენ 26 მაისს, არის თუ არა ინდოეთში 26 მაისი?

-რა თქმა უნდა, ყველა ქვეყანაშია 26 მაისი.

-რომელი ქვეყნის სახელია, თავზე რომ ვიხურავთ ხოლმე?

-რაო? თავზე ვიხურავთო, ქუდი არ არის, ანუ კი, ქუდია „პანამა“.

-აკი ქუდი არააო, ყოჩაღ, რომელი მდინარის სახელია გზაზე რომ დადის?

-მდინარე დადის გზაზე? მატყუებ ხო? „პანამას“ ვარიანტია აშკარად. „მაშავერა“ არ დადის გზაზე. ვინ ჯანდაბა დადის, ნეტა, აა „ვოლგაა“.

-კი, „ვოლგაა“, სოფელში დიასახლისს ჰყავდა 10 ინდაური, ექვსის გარდა ყველა გაყიდა, რამდენი დარჩა?

-ექვსი.

-კალათში ხუთი ბანანია, როგორ გავუნაწილოთ ხუთ ბავშვს თითო ბანანი ისე, რომ ხუთივეს შეხვდეს და კალათშიც დარჩეს ერთი ბანანი?

- აუცილებლად უნდა დარჩეს კალათში?

-კი, აუცილებლად.

-გავჭრიდი ერთს.

-არა, გაუჭრელად უნდა მისცე.

-აა, კალათიანად?

-დიახ, კალათიანად. ხეზე იჯდა 12 მწყერი, გაფრინდა 5, რამდენი დარჩა.

-მწყერი ხეზე არ ჯდება, კაცო.

-მიზანში ამოღების დროს რატომ ხუჭავს მონადირე ერთ თვალს?

-ვაიმეე, მე რომ არ ვხუჭავ ხოლმე.

-შენ მონადირე არ ხარ.

-იმიტომაც ვერ ვკლავ ალბათ, დამიმიზნებია, მაგრამ ვერ მომიკლავს, მიზანში რომ ამოიღოს კაცო, არ ვიცი, ვახ.

-იმიტომ რომ ორივეს თუ დახუჭავს, ვერაფერს დაინახავს. შავი ფერის ქუდი ჩავარდა რძით სავსე ბიდონში, რა მოუვა?

-დასველდება.

-კლასში 35 მოსწავლეა, შეიძლება თუ არა თითოეული მოსწავლის გვარი განსხვავებული ასოთი დაიწყოს საქართველოში?

-ვერა, 33 ასოა სულ და მაგიტომ.

-რა აქვთ საერთო ხარს და ვაზს?

-რქა.

-შედიხარ ჩაბნელებულ ოთახში, სახლში, მნიშვნელობა არ აქვს, შეგაქვს სამი ლამპა ნავთის, გაზის და სპირტის, რომელს აანთებ პირველს?

-ნავთისას.

-რით აანთებდი?

-ასანთით.

-ანუ პირველად აანთებდი არა ნავთის ლამპას,

არამედ ასანთს.

-უიი, ჰოოო.

-ყველა თვე, გარდა თებერვლისა, მთავრდება 30-31 რიცხვით, რომელ თვეშია 28 რიცხვი?

-თებერვალში.

-მარტო თებერვალში?

-არა ყველა თვეშია.

-ნამდვილად. კეტჩუპის სამშობლო რომელია?

-არ ვიცი, მოიცა რეკლამა მაქვს ნანახი, ამერიკა?

-კი, ყოჩაღ, რა ჰქვია დესერტს ქართულად?

-ოო არ მახსოვს.

-გეტყვი, ჩაროზი და დავასრულოთ, კარგი გოგო ხარ. ვინ იქნება შემდეგი სტუმარი?

-მომდევნო სტუმარი იქნება ანა ლაზარაშვილი.

-კარგი, დიდი მადლობა.

**დარეჯან ოქრუაშვილი**

## როგორ დავიცვათ თავი სიცხისა და მზის სხივების მავნე ზემოქმედებისაგან

ზედმეტად ცხელ ამინდში შესაძლოა ადამიანის ორგანიზმის დამცავმა სისტემებმა ვერ უზრუნველყოს სხეულის შესაბამისი გაგრილება და განვითარდეს სითბური დაავადებები, რაც ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე უარყოფითად აისახება და შესაძლოა ლეტალური შედეგითაც დამთავრდეს. განსაკუთრებით რისკის ქვეშ იმყოფებიან:

- ახალშობილები, ბავშვები  და მოხუცები (დეჰიდრატაცია ვითარდება სწრაფად).
- ადამიანები გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებებით.
- ადამიანები ენდოკრინული და ნევროლოგიური დარღვევებით.
- ინდივიდები, რომლებიც იღებენ ზოგიერთ მედიკამენტს (ფენოთიაზინები, ბარბიტურატები, დიურეტიკები).
- ქარბი წონის მქონენი.
- ფიზიკური პირები, რომელთაც მუშაობა უწევთ არავენტილირებულ გარემოში.
- ალკოჰოლის ქარბად მომხმარებლები.

სითბური დაავადებების თავიდან აცილება შესაძლებელია, ამისათვის საჭიროა ნებისმიერმა ადამიანმა გაითვალისწინოს საკუთარი ორგანიზმის მდგომარეობა.

დაზიანებულ უბნებზე დაიფინეთ ცივი კომპრესები, მიიღეთ ცივი აბაზანა, წაისვით ალოეს ექსტრაქტის შემცველი გამაგრილებელი გელი.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ ქვემოთ ჩამოთვლილი რეკომენდაციები, რათა თავიდან აიცილოთ სითბოსთან დაკავშირებული ავადობა და სიკვდილობა:

- ეცადეთ იყოთ სიგრილეში, კარგად კონდიცირებად გარემოში, რაც პირველ დამცავ ფაქტორს წარმოადგენს სითბოსთან დაკავშირებული ავადობის და სიკვდილობის პრევენციაში.
- დღის განმავლობაში მიიღეთ დიდი რაოდენობით სითხე (თუ ექიმი გიზღუდავს დიდი ოდენობით სითხის მიღებას, ჰკითხეთ, რა მაქსიმალური რაოდენობის სითხის მიღება შეგიძლიათ ცხელი დღეების განმავლობაში).
- შეზღუდეთ ალკოჰოლი და ზედმეტად ტკბილი სასმელის მიღება, ასევე ზედმეტად ცივი წყალი (შესაძლოა განვითარდეს კუჭის სპაზმი).
- მიიღეთ მინერალები და მარილები
- ატარეთ ღია შეფერილობის, ნატურალური ქსოვილისაგან დამზადებული თავისუფალი ტანსაცმელი, ფართოფარფლებიანი ქუდი, მუქი ფერის სათვალეები.
- სიფრთხილით დაგეგმეთ გარეთ შესასრულებელი სამუშაოები.
- გაითვალისწინეთ, რომ ბავშვებში და მოხუცებში, ცხელ ამინდში, სწრაფად ვითრდება დეჰიდრატაცია. ამიტომ, ხშირად შესთავაზეთ მათ სითხე.
- არ დატოვოთ ბავშვები და მოხუცები მანქანაში უმეთვალყურეოდ.

სითბურ დაავადებებთან ერთად ზაფხულის ცხელ დღეებში ხშირია მზით დამწვრობის შემთხვევები, განსაკუთრებით, ახალგაზრდა გოგონებში, რომელთაც მიაჩნიათ, რომ რუჯი ნიშნავს  ჯანმრთელობას და ესთეტიურ სილამაზეს, თუმცა,  დერმატოლოგები განმარტავენ, რომ ნამზეურევი, ეს არის მზისგან გამოწვეული კანის დაზიანება,  რომელიც ჩნდება ულტრაიისფერი სხივებით კანის პიგმენტური უჯრედების დაზიანებისას.

გარუჯვა იწვევს კანის ნაადრევ დაბერებას, პიგმენტური ლაქების წარმოქმნას, კანის კიბოს განვითარების რისკის მომატებას. მზის სხივებმა არამარტო კანის პრობლემები, არამედ მხედველობის დარღვევებიც შესაძლოა გამოიწვიოს მაგ, კატარაქტა, რაც სიბრმავის გამომწვევი წამყვანი მიზეზია.

მზის სხივებით და სოლარიუმებში ზედმეტად დასხივების შემთხვევაში ვითარდება კანის დამწვრობა. ამ დროს ვლინდება შემდეგი სახის სიმპტომები: სისუსტე, დაზიანებული უბნის შეშუპება, სითხის შემცველი ბუშტუკების წარმოქმნა, ტკივილი, შესაძლოა განვითარდეს სხეულის ტემპერატურის მომატება, გულისრევა.

მზეზე ან სოლარიუმში ხანგრძლივად ყოფნის შემდეგ, ასეთი სიმპტომების გაჩენისთანავე, დაუყოვნებლივ მიიღეთ ასპირინი ან აცეტამინოფენი (ტილენოლი), რათა მოიხსნას დამწვრობის დისკომფორტი და ანთება.

მიმართეთ ექიმს, თუ:

- დამწვრობა მიიღო 1 წლამდე ასაკის ბავშვმა,
- განვითარდა ცხელება (მოიმატა სხეულის ტემპერატურამ),
- გაჩნდა სითხით სავსე ბუშტუკები და ძლიერი მტკივნეულობა.

დაიმახსოვრეთ:

- მზით დამწვრობის შემდეგ მოერიდეთ მზეზე განმეორებით გასვლას
- არ გახეთქოთ დამწვრობის შემდეგ წარმოქმნილი ბუშტუკები

მზით დამწვრობის რისკ-ჯგუფებს მიეკუთვნებიან:

- ადამიანები, რომელთაც აქვთ ღია შეფერილობის კანი და თმა, ლურჯი თვალები.
- 6 წელზე ნაკლები და 60 წელზე მეტი ასაკის ადამიანები.

მზით დამწვრობის თავიდან ასაცილებლად:

- შეზღუდეთ მზეზე ყოფნის ხანგრძლივობა, განსაკუთრებით პიკის საათებში (შუადღემდე 2 საათით ადრე და 2 საათით გვიან). მზით დამწვრობის მიღება შესაძლებელია ღრუბლიან ამინდშიც.
- საგულდაგულოდ შეიმშრალეთ სხეული წყლის წვეთებისგან, რამდენადაც მათ ლინზის ეფექტი აქვთ და აძლიერებენ მზის სხივების დამაზიანებელ მოქმედებას.
- ყურადღება მიაქციეთ^ ულტრაიისფერ (უი) ინდექსს, რაც მზით დამწვრობის განვითარების რისკს გვიჩვენებს.
- ატარეთ  ღია ფერის (გამონაკლისია თეთრი ფერი), ნატურალური ქსოვილისაგან დამზადებული თავისუფალი ტანსაცმელი, ფართოფარფლებიანი ქუდი; მუქი სათვალეები  99-100%-ით დამცავი ეფექტით.
- გამოიყენეთ მზისგან დამცავი კრემები, რომლის შ ფ (მზისგან დამცავი ფაქტორი) 30 და მეტია. წაისვით ის მზეზე გასვლამდე 20 წთ-ით ადრე და ყოველ 2 საათში. დამცავი კრემი უნდა შეირჩეს კანის ტიპისა და ულტრაიისფერი სხივების ინტენსიობის შესაბამისად. მოერიდეთ გაურკვეველი ხარისხის უცნობი კრემის გამოყენებას.

**აიპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის**

**საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი**

## ყველამ ერთად გადავარჩინოთ მისი სიცოცხლე !

ოცდარვა წლის რამზე ბაძგარაძეს, აწუხებდა ძლიერი წელის და ფეხის ტკივილები. ექიმთან კონსულტაციის შემდეგ დაინიშნა სასწრაფო ოპერაცია ხერხემალზე. ოპერაციის შემდგომი ბიოფსიის პასუხის შედეგად, დაუდგინდა ავთვისებიანი სიმსივნე. წერტილოვანი მეტასტაზები აღენიშნება ფილტვებშიც.

სასწრაფოდ დაენიშნა სხივური თერაპია, ასევე საჭიროებს ქიმიო თერაპიის კურსებს.

რეაბილიტაციას გაივლის თურქეთის, ან ისრაელის წამყვან კლინიკებში.

ყოველი წუთი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

ოჯახს და მეგობრებს გვესმის, რომ ყველასთვის რთულ პერიოდში გვიწევს დახმარების თხოვნა, მაგრამ სხვა გზა არ დაგვრჩა... ქართველი და არა მარტო ქართველი ხალხის გულისხმიერების იმედი გვაქვს და რწმენა იმისა, რომ ამ ბრძოლაში ერთად გავიმარჯვებთ.

საქართველოს ბანკი: GE86BG0000000327437700GEL

საზღვარგარეთიდან:

GE84BG0000000100639611EUR

ჩასარიცხი აპარატებიდან: 10001059061

მიმღები: მაია ბაძგარაძე



სიახლეები
არემჯი
რიჩ მეტალს გრუპი

# არემჯის „გამწვანების ჯგუფი“ დაბა კაზრეთის და სოფელ ბალიჭის კეთილმოწყობაზე იზრუნებს

მინდია ასლანიშვილი „გამწვანების ჯგუფის“ ყველაზე პატარა თანამშრომელია, ის უკვე მეოთხე თვეა დიდი მონდომებითა და ხალისით დილის ცხრა საათზე სამსახურში მიიჩქარის, ბუნება ბავშვობიდან უყვარს, სახლშიც ხე-მცენარეების მოვლა-პატრონობაში აქტიურადაა ჩართული, ამიტომ ახალ სამსახურში თავს კომფორტულად გრძნობს, მასთან ერთად სხვადასხვა ასაკის ექვსი თანამშრომელი ყოველ სამუშაო დღეს, გაწერილი დღის განრიგით, დაბა კაზრეთის და სოფელ ბალიჭის მწვანე ზონის მოვლა-პატრონობას უზრუნველყოფს.

„მე სოფელ ბალიჭებში ვცხოვრობ, არ მინდოდა სოფლის დატოვება, ამიტომ სამსახურის ძებნა ადგილზე დავიწყე. მოვხვდი „გამწვანების ჯგუფში“, ძალიან კმაყოფილი ვარ, მიყვარს გარემოზე ზრუნვა, უკვე რამდენიმე თვეა ამ მიმართულებით ვმუშაობ. სამსახურს დილის ცხრა საათზე ვიწყებთ, ვიკრიბებით, ერთად ვეცნობით დღის გეგმას, ვიცმევთ სპეც-აღჭურვილობას და ვიწყებთ უკვე შესწავლილი ტერიტორიების მოვლა - დასუფთავებას“, აღნიშნა ჯგუფის თანამშრომელმა მინდია ასლანიშვილმა.

დაბა კაზრეთი და მის მიმდებარე ტერიტორია უკვე გაიწმინდა ეკალ-ბარდებისგან, გაითიბა და განხორციელდა ხმელი ხეების და ტოტების სანიტარული ჭრა-გატანის სამუშაოები.

თეო კოდიაშვილი, დაბა კაზრეთის მცხოვრები:

„უკვე თვალშისაცემი გახდა მოვლილი და დასუფთავებული მწვანე ზონა, რაც ძალიან მახარებს. გაიწმინდა სავალ

ბილიკებზე განთავსებული ნარგავები, ეს ხომ ჩვენთვის და ჩვენი შვილებისთვის კეთდება, რაც ძალიან მისასალმებელია.

ვახტანგ ჯაყელი, კაზრეთის მცხოვრები:

-დაბის სასიკეთოდ არაერთი პროექტი ხორციელდება, ეს სამსახური ნამდვილად აუცილებელი იყო, ისინი რამდენიმე თვეა აქტიურად მუშაობენ და ეს იგრძნობა კიდეც.

„გამწვანების ჯგუფის“ ყოველდღიური საქმიანობაა დაბაში და სოფელ ბალიჭში არსებული ნარგავების და ხეების მოვლა, მათი შეწამვლა-დასუფთავება, ახალი ნერგების დარგვა, სანიაღვრე სისტემების გაწმენდა და სხვა კეთილმოწყობის სამუშაოები.

„ოფიციალურ სამსახურში პირველად ვმუშაობ, წლების მანძილზე სოფლის მეურნეობით ვიყავი დაკავებული, თუმცა სტაბილური შემოსავალი არ მქონია, ამიტომ გადავწყვიტე დასაქმება და კომპანიას მივმართე, დააკმაყოფილეს ჩემი განცხადება და რამდენიმე თვეა უკვე გამწვანების ჯგუფის თანამშრომელი ვარ, ეს სამსახური ძალიან ბევრ კარგ საქმეს აკეთებს, წელიწადის ოთხივე სეზონზე სჭირდება მწვანე სივრცეებს მოვლა-პატრონობა“. განაცხადა ,,გამწვანების ჯგუფის'' თანამშრომელმა გია მუჯირიშვილმა.

გია შავიშვილი, „არემჯის“ გარემოს დაცვისა და სამთო-სამუშაოების პროექტების კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი:

-კომპანიისთვის გარემოს დაცვა და გამწვანება ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია, ამიტომ აუცილებელი გახდა სამსახურის გაფართოება, კომპანიის ინიციატივით შეიქმნა გარე ,,გამწვანების ჯგუფი“, რომელიც დაბა კაზრეთის მიმდებარე ტერიტორიებზე განახორციელებს ისეთ სამუშაოებს, როგორიცაა მწვანე ზონის გასუფთავება-გაწმენდა, კეთილმოწყობა. დასაქმდა შვიდი ადგილობრივი კადრი, სამუშაოები განსაკუთრებით ბევრია ზაფხულის პერიოდში, თუმცა მწვანე ნარგავებს მოვლა მუდმივად სჭირდება. მათ კომპეტენციაშივე შედის სანიაღვრე სისტემების გაწმენდა, ამ ეტაპზე მიმდინარეობს ბუჩქების გაკრეჭვა, ხმელი ბალახის გათიბვა, ნარგავების კირით შეთეთრება. თანამშრომლები სპეციალურად გაწერილი დღის განრიგით ხელმძღვანელობენ.

**მაგდა დევნოზაშვილი**

სარედაქციო კოლეგია
მთავარი რედაქტორი: ნინო კარგარეთელი
პასუხისმგებელი მდივანი: ბელა ონიანი, ტექნიკური რედაქტორი: ხატია ფოცხვერაშვილი, ჟურნალისტები: დარეჯან ოქრუაშვილი, მაგდა დევნოზაშვილი, ნონა ხუზმიაშვილი, მარინა გავაშელი. სტილისტი: ლილი უგრეხელიძე, კომპიუტერის ოპერატორი: ნანული მუშკუდიანი, ფინანსური მენეჯერი: ლენა გოგოლაძე.